



საკონდიტრო პროდუქციის წარმოების ინდუსტრიის კვლევა

მომზადებულია 2018 წლის მონაცემებზე დაყრდნობით



შინაარსი

გვერდი 3 - მეთოდოლოგია

გვერდი 4 - კვლევის შედეგები

გვერდი 6 - ბაზრის ზოგადი
მიმოხილვა

გვერდი 11 - ძირითადი მოთამაშეები

გვერდი 12 - ფინანსური
კოეფიციენტები



კვლევის მიზანი

მოცემული კვლევა ემსახურება საკონდიტრო პროდუქციის წარმოების ინდუსტრიაში არსებული ტენდენციების გამოვლენას, მესამე ზომითი კატეგორიის კომპანიების 2018 წლის ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე.

რეპორტში წარმოდგენილია დარგის საშუალო ფინანსური მაჩვენებლები, რომელიც აყალიბებს დარგის "ბენჩმარკს" და იძლევა ინფორმაციას მის ფინანსურ მდგომარეობაზე.



მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებული მონაცემები აღებულია ანგარიშგების პორტალის ვებგვერდიდან, სადაც ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად წლიური ფინანსური ანგარიშგებების გამოქვეყნება.

მოცემული კომპანიები ეკუთვნის მესამე კატეგორიის კომპანიებს, რომელთაგანაც არც ერთი ანგარიშგება არ არის აუდირებული.

აღნიშნული ინფორმაცია ეყრდნობა 2018 წლის მონაცემებს, ყურადღება გამახვილებულია ბაზრის ლიდერ კომპანიებზე, რომელთა რაოდენობაც შეადგენს 17-ს.

კვლევაში ყურადღება გამახვილებულია საკონდიტრო პროდუქტების ბაზრის მიმოხილვაზე, კონკრეტულად კი პროდუქციის წარმოებასა და ექსპორტ-იმპორტზე, მონაცემები აღებულია საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის ვებგვერდიდან.





კვლევის შედეგები

კვლევა მიმოიხილავს საკონდიტრო ნაწარმის მწარმოებელ კომპანიებს, რომელთა ჯამური ბრუნვა აღემატება 121 მილიონ ლარს, აქტივების ჯამი 61 მილიონ ლარს, ხოლო ჯამური მოგება დაბეგვრამდე აღწევს 13 მილიონ ლარს.

კვლევამ გამოავლინა ინდუსტრიის ლიდერი კომპანიები შემოსავლების, აქტივებისა და მოგების მიხედვით.

მონაცემების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ქართულ კომპანიებს საკონდიტრო ნაწარმის წარმოების ინდუსტრიაში გააჩნიათ შემდეგი ფინანსური მაჩვენებლები: მოგებამ აქტივებზე საშუალოდ შეადგინა (ROA) 25%, მოგებამ კაპიტალზე კი (ROE) 40%.


გარდა ამისა, დადგინდა ფინანსური კოეფიციენტები ინდუსტრიის საშუალო ლიკვიდურობის, ეფექტურობისა და გადახდის უნარიანობის შესახებ.






კვლევის შედეგები

კვლევის შედეგად ასევე გამოვლინდა 2018 წლის კომპანიების საშუალო მონაცემები. მოცემული 17 კომპანიიდან ყველა კომპანია განეკუთვნება მესამე კატეგორიას. ინდუსტრია მთლიანობაში არის საკმაოდ დიდი და გააჩნია კარგი საშუალო და ჯამური ფინანსური მონაცემები.



ქვემოთ მოცემულია ინდუსტრიის ჯამური ფინანსური მონაცემები, რის საფუძველზეც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინდუსტრიას საკმაოდ დიდი პოტენციალია აქვს.





საკონდიტრო ბაზრის ზოგადი მიმოხილვა


საქართველოში საკონდიტრო ბაზარი სტაბილურია, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, თუმცა ქვეყანას აქვს პოტენციური აწარმოოს გაცილებით მეტი და მაღალი ხარისხის პროდუქცია, რომლებიც შეესაბამება ქვეყანაში არსებულ მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე გაიზრდება, საკონდიტრო პროდუქციის მწარმოებელი კომპანიების რაოდენობა და შესაბამისად წარმოების მოცულობაც.

ანგარიშების პორტალის ვებ-გვერდის მონაცემების თანახმად 2018 წელს, საკონდიტრო პროდუქციის მწარმოებელი და მოვაჭრე კომპანიების რაოდენობამ შეადგინა 17.

ქვემოთ მოცემულია საკონდიტრო ნაწარმის წარმოება ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, საქტატის ოფიციალური მონაცემების თანახმად.

ტონა / ათასი ლარი

საკონდიტრო ნაწარმის წარმოება ღირებულებისა და რაოდენობის მიხედვით



წყარო: geostat.ge

როგორც გრაფიდან ჩანს, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საკონდიტრო პროდუქციის მაქსიმალური რაოდენობა დაფიქსირდა 2016 წელს და შეადგინა 5 352.3 ტონა. ხოლო, მაქსიმალური ღირებულება 2019 წელს, 60 866.1 ათასი ლარი, რაც იმას მიანიშნებს, რომ ბოლო წლებში საკონდიტრო პროდუქციის ფასი გაიზარდა.




საკონდიტრო ბაზრის ზოგადი მიმოხილვა

საქართველოში საკონდიტრო პროდუქციის საშუალო საცალო საბაზრო ფასი, სამომხმარებლო კალათის მიხედვით შემდეგია:

ლარი, კგ

საკონდიტრო ნაწარმის საშუალო საცალო საბაზრო ფასები საქართველოში, სამომხმარებლო კალათის მიხედვით



წყარო: geostat.ge


● ნამცხვარი ● ვაფლი კრემით ● ორცხობილა

როგორც გრაფიდან ჩანს, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შედარებით ძვირად ფასობს ორცხობილა.

რაც შეეხება საკონდიტრო ნაწარმით დაკავებულ საწარმოთა დასაქმებულთა რაოდენობას შემდეგია:

კაცი

საკონდიტრო ნაწარმით დაკავებულ საწარმოთა დასაქმებულთა რაოდენობა



წყარო: geostat.ge


როგორც გრაფიდან ჩანს, 2017 წელს იყო საკონდიტრო საქმიანობაში დასაქმებულთა მაქსიმალური რაოდენობა, ბოლო ხუთი წლის მონაცემების მიხედვით.

საკონდიტრო ბაზრის ზოგადი მიმოხილვა

საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის თანახმად, 2019 წელს იმპორტირებული საკონდიტრო პროდუქციის საერთო ღირებულება გაიზარდა წინა წლებთან შედარებით, რაც მიუთითებს მოთხოვნის ზრდაზე ან პროდუქციის ფასის მატებაზე. 2018 წელს იმპორტირებული საკონდიტრო პროდუქციის საერთო ღირებულებამ 37,161 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო 2019 წელს 40,714 ათას აშშ დოლარამდე გაიზარდა.

ტოპ ხუთი ქვეყანა, საიდანაც ხორციელდება ძირითადი საკონდიტრო პროდუქციის იმპორტი, 2019 წლის მონაცემებით შემდეგია: რუსეთის ფედერაცია, უკრაინა, თურქეთი, პოლონეთი და ბულგარეთი.

ქვემოთ, დიაგრამის სახით წარმოდგენილია იმპორტის ღირებულება ქვეყნების მიხედვით, ბოლო ხუთი წლის სტატისტიკა:



წყარო: International Trade Center

როგორც გრაფიდან ჩანს, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ძირითადი იმპორტიორი ქვეყანაა რუსეთის ფედერაცია, საიდანაც შემოდის საკონდიტრო პროდუქციის ძირითადი ნაწილი. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2019 წელს, იმპორტის ღირებულებამ შეადგინა 17,750 ათასი აშშ დოლარი, ხოლო 2018 წელს 16,500-ს აშშ დოლარს გადააჭარბა. რუსეთის ფედერაციის შემდეგ, მოდის უკრაინა, 2018 წელს 7,519 ათასი აშშ დოლარი, ხოლო 2019 წელს 8,528 ათასი აშშ დოლარის ღირებულების იმპორტი განხორციელდა.


ტოპ ქვეყნებიდან ყველაზე ცოტა შემოდის ბულგარეთიდან, ბოლო 5 წლის განმავლობაში 2017 წელს დაფიქსირდა საკონდიტრო პროდუქციის მაქსიმალური ღირებულება და შეადგინა 2,066 ათასი აშშ დოლარი.

საკონდიტრო ბაზრის ზოგადი მიმოხილვა

საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის თანახმად, 2019 წელს იმპორტირებული საკონდიტრო პროდუქციის საერთო რაოდენობა ოდნავ გაიზარდა წინა წელთან შედარებით. 2018 წელს იმპორტირებული საკონდიტრო პროდუქციის საერთო რაოდენობამ 21,246 ტონა შეადგინა, ხოლო 2019 წელს 22,122 ტონამდე გაიზარდა.

ტოპ ხუთი ქვეყანა, საიდანაც ხორციელდება ძირითადი საკონდიტრო პროდუქციის იმპორტი რაოდენობის მიხედვით, 2019 წლის მონაცემებით შემდეგია: რუსეთის ფედერაცია, უკრაინა, თურქეთი, ბულგარეთი და პოლონეთი.

ქვემოთ, დიაგრამის სახით წარმოდგენილია იმპორტის რაოდენობა ქვეყნების მიხედვით, ბოლო ხუთი წლის სტატისტიკა:



წყარო: International Trade Center

როგორც გრაფიდან ჩანს, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ძირითადი იმპორტიორი ქვეყანა რაოდენობის მიხედვით არის რუსეთის ფედერაცია, საიდანაც შემოდის საკონდიტრო პროდუქციის ძირითადი ნაწილი. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში დაფიქსირდა 2019 წელს, იმპორტის რაოდენობამ შეადგინა 10,988 ტონა, ხოლო 2018 წელს 10,670 ტონა დაფიქსირდა. შემდეგ მოდის უკრაინა, 2016 წელს დაფიქსირდა იმპორტის მაქსიმალური რაოდენობა, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში და შეადგინა 5,884 ტონა.



საკონდიტრო ბაზრის ზოგადი მიმოხილვა


რაც შეეხება ექსპორტს, საკმაოდ მცირე რაოდენობით ხორციელდება საკონდიტრო პროდუქციის ქვეყნიდან გატანა, თუმცა საინტერესოა სად გადის და რამდენი. საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის თანახმად, 2019 წელს ექსპორტირებული საკონდიტრო პროდუქციის საერთო ღირებულებამ შეადგინა 297 ათასი აშშ დოლარი, ხოლო 2018 წელს 508 ათასი აშშ დოლარი.

ქვეყნები, სადაც ხორციელდება პროდუქციის ექსპორტი ღირებულების მიხედვით, შემდეგია: ისრაელი, ირანი, ერაყი, უზბეკეთი და სომხეთი.

ქვემოთ, დიაგრამის სახით წარმოდგენილია ექსპორტის ღირებულება ქვეყნების მიხედვით, ბოლო ხუთი წლის სტატისტიკა:

ათასი, დოლარი

საკონდიტრო პროდუქციის ექსპორტის ღირებულება ქვეყნების მიხედვით




წყარო: International Trade Center

როგორც გრაფიდან ჩანს, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ყველაზე დიდი ღირებულების ექსპორტი განხორციელდა 2017 წელს, 845 ათასი აშშ დოლარის ღირებულების, აქედან ძირითადი ნაწილი გავიდა ირანში.

რაც შეეხება საკონდიტრო პროდუქციის ექსპორტს რაოდენობის მიხედვით, შემდეგია:

ტონა

საკონდიტრო პროდუქციის ექსპორტის რაოდენობა ქვეყნების მიხედვით



წყარო: International Trade Center

როგორც გრაფიდან ჩანს, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, 2017 წელს, ირანში დაფიქსირდა, ექსპორტის ყველაზე დიდი რაოდენობა, 68 ტონა, ხოლო 2019 წელს ისრაელში 37 ტონა.



საკონდიტრო ბაზრის ზოგადი მიმოხილვა

მიუხედავად იმისა, რომ საკონდიტრო პროდუქციის არც თუ ისე დიდი რაოდენობით გატანა ხორციელდება, საინტერესოა როგორ იცვლებოდა ტოპ ქვეყნები ბოლო ოთხი წლის განმავლობაში.

ქვემოთ, დიაგრამის სახით წარმოდგენილია ტოპ ხუთი ექსპორტიორი ქვეყნები წლების მიხედვით:

ათასი, დოლარი

ექსპორტიორი ქვეყნები 2016 წელს



წყარო: International Trade Center

ათასი, დოლარი


იმპორტიორი ქვეყნები 2017 წელს



წყარო: International Trade Center

ათასი, დოლარი


იმპორტიორი ქვეყნები 2018 წელს



წყარო: International Trade Center

ათასი, დოლარი

იმპორტიორი ქვეყნები 2019 წელს



წყარო: International Trade Center


როგორც გრაფიდან ჩანს, საკმაოდ ცვალებადია ტოპ ექსპორტიორი ქვეყნები და მათ მიერ იმპორტირებული საქონლის ღირებულება.



ტოპ 5 საკონდიტრო მწარმოებელი კომპანია შემოსავლების მიხედვით (2018წ)


აღნიშნული
კომპანიების ჯამური
შემოსავალი
წარმოადგენს
დანარჩენი
საკონდიტრო
პროდუქციის
მწარმოებელი
კომპანიების ჯამური
შემოსავლის 68%-ს.

ათასი, ლარი




მთლიანი აქტივების მიხედვით, ტოპ 5 კომპანია საკონდიტრო წარმოების ინდუსტრიაში (2018წ)

ათასი, ლარი



მოგება დაბეგვრამდე, ტოპ 5 კომპანია საკონდიტრო პროდუქციის წარმოების ინდუსტრიაში (2018წ)

ათასი, ლარი






ინდუსტრიის საშუალო ფინანსური კოეფიციენტები (2018 წ.)


ლიკვიდურობის კოეფიციენტები

კვლევის შედეგად დადგინდა საკონდიტრო პროდუქციის მწარმოებელი კომპანიების ლიკვიდურობის კოეფიციენტები. მიმდინარე და სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტებმა შეადგინა 8,46 და 5,63, როდესაც ლიკვიდურობის კოეფიციენტი 1-ზე მეტია, ინდიკატორი ითვლება დამაკმაყოფილებლად.



მომგებიანობის კოეფიციენტები

საკონდიტრო მწარმოებელთა კომპანიების მომგებიანობის კოეფიციენტებმა შეადგინა შემდეგი: მთლიანი მოგების მარჟის კოეფიციენტი 40%, წლიური მოგება აქტივებზე მწარმოებელთათვის შეადგენს (ROA) 25%-ს, ხოლო მოგება კაპიტალზე ROE შეადგენს 40%-ს. უნდა აღინიშნოს მთლიანი მოგების მარჟის კოეფიციენტები, რაც აღემატება 40%-ს, ეს ინდიკატორი წარმოადგენს მაჩვენებელს თუ თვითღირებულებასთან შედარებით, რამდენ პროცენტზე მეტად ყიდის კომპანია თავის პროდუქტს. დიდწილად სწორედ ეს მაჩვენებელი განაპირობებს ინდუსტრიის მომგებიანობის განსაზღვრას. თუმცა, აღსანიშნავია საკმაოდ მაღალი დანახარჯები ინდუსტრიაში რის გამოც, წმინდა მოგების მარჟა შეადგენს მხოლოდ 9% -ს.






ინდუსტრიის საშუალო ფინანსური კოეფიციენტები(2018წ.)

გადახდისუნარიანობის კოეფიციენტები

ვალდებულებები შეფარდებული აქტივებთან კოეფიციენტი გვიჩვენებს, მთლიანი აქტივებისა და ვალდებულებების შეფარდებას. საკონდიტრო მწარმოებელთათვის მაჩვენებელი უტოლდება 0,46-ს, ასევე აღსანიშნავია ვალდებულებები შეფარდებული კაპიტალთან კოეფიციენტი, რომელიც შეადგენს 1,69-ს რაც მიუთითებს თუ რამდენად აღმატება ვალდებულებები კაპიტალურ დანახარჯებს.



ეფექტურობის კოეფიციენტები

მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი უტოლდება 13,75-ს, საკონდიტრო ნაწარმის მწარმოებელი კომპანიებისთვის, რაც არის მაღალი მაჩვენებელი და მეტყველებს იმაზე, რომ კომპანიებს არ უჭირთ მათი მარაგების რეალიზება. ზოგადად, რაც უფრო მაღალია ეს კოეფიციენტი, მით უფრო მეტია გაყიდვების რაოდენობა და ნაკლებ დროს ატარებს წარმოებული პროდუქტი საწყობში.

აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი საკონდიტრო მწარმოებელთა ინდუსტრიაში უტოლდება 2,33-ს მწარმოებელთათვის, რაც უფრო მაღალია ეს კოეფიციენტი, მით უფრო ეფექტურად ახერხებს კომპანია მისი აქტივების გამოყენებას გაყიდვების მოცულობასთან მიმართებაში.





რეპორტი მომზადებულია საკონსულტაციო კომპანია AGIC-ის მიერ, რომელიც მოღვაწეობს 2007 წლიდან და უზრუნველყოფს უმაღლესი ხარისხის მომსახურებას აუდიტის, საბუღალტრო, ბიზნეს საკონსულტაციო და მარკეტინგის მიმართულებით.

კომპანიის გუნდი შედგება 40-ზე მეტი მაღალკვალიფიციური, გამოცდილი და პროფესიონალი თანამშრომლებისაგან, რომლებიც ფოკუსირებულნი არიან განვითარებასა და კლიენტების წარმატებაზე.

აუდიტორული და საკონსულტაციო კომპანია "AGIC" არის "PrimeGlobal"-ის წევრი საქართველოში, რაც საშუალებას აძლევს განახორციელოს გლობალური, კომპლექსური და სხვადასხვა სირთულის პროექტები პარტნიორებთან ერთად მსოფლიოს 85-ზე მეტ ქვეყანაში.



0171, პ. ქავთარაძე #10, I შესახვევი,
სართული 4 თბილისი, საქართველო



(995 322) 500 130



(995 599) 34 33 48



info@agic.ge

